ზამთრის ძილის მოყვარულები

გაიხსენე, რა იცი ცხოველთა გამოზამთრების შესახებ. წაიკითხე ტექსტი და შეავსე შენი ცოდნა ახალი ინფორმაციით.

მკაცრი ზამთარი ბევრი სულიერი არსებისთვის რთული სეზონია. ამ პერიოდში ძნელია საკვების შოვნა. თოვს. ყინავს. ცივი ქარი უბერავს... ამიტომ ცხოველები წინასწარ **საგანგებოდ** ემზადებიან ზამთრისთვის. ბევრი მათგანისთვის გადარჩენის საუკეთესო საშუალება ღრმა ძილია. ახლა, ალბათ, მურა დათვი გაგახსენდა. დიახ, ყველამ იცის, რომ ის შემოდგომაზე მადიანად იკვებება და ცხიმს აგროვებს. როგორც კი ზამთარი დგება, შეძვრება ბუნაგში და დიდი ხნით იძინებს. ამ დროის განმავლობაში შიმშილი სულაც არ აწუხებს.

ზამთარს ამგვარად ბევრი სხვა ცხოველიც ატარებს. მაგალითად: ზღარბი, ზაზუნა, ღამურა... ისინიც წინასწარ ბევრს ჭამენ და სუქდებიან. შემდეგ კი იძინებენ. ზღარბს თითქმის ხუთ თვეს ბურთივით დახვეულს სძინავს თავის ბუნაგში. ბუნაგს იგი ტალახისგან, ფოთლებისა და ბალახებისაგან იკეთებს. ძილის დროს ზღარბის სხეულის ტემპერატურა ძალიან ეცემა. სუნთქვაც იმდენად უძნელდება, რომ მისი შემჩნევა თითქმის შეუძლებელია. ზღარბს აქვს სპეციალური ჯირკვალი. თუ ბუნაგი გაიყინება, მას სწორედ ამ ჯირკვლის დახმარებით ეღვიძება. შემდეგ ახალ, უფრო თბილ ადგილს პოულობს და ძილს იქ აგრძელებს.

ალპური ზაზუნა კი თავის მიწისქვეშა სოროში **მოკალათდება** ხოლმე. ის ბურთივით დამრგვალდება და ექვსი თვით ზამთრის ძილს ეძლევა. ამ პერიოდში ზაზუნას სხეულის ტემპერატურაც ეცემა და გულისცემა ნელდება. ამიტომაც არ სჭირდება მას საჭმელი.

ღამურა დასაძინებლად **მყუდრო**, ბნელ, ქარისაგან დაცულ ადგილს ირჩევს. ასეთი ადგილებია: ხის ფუღურო, გამოქვაბული, კლდის ნაპრალი თუ სახლის სხვენი. ის სხეულზე ფრთებს შემოიხვევს და თავდაყირა დაკიდებული იძინებს.

ალბათ, შეგიჩნევია, რომ ზამთარში მწერები არ ჩანან. ეს იმიტომ, რომ ისინიც ბნელ და მყუდრო თავშესაფარში ატარებენ ზამთარს. ზოგი მათგანი ხის მერქანში იმალება. ზოგი შეიძლება სახურავისა და ფარდულის კუთხეებშიც იპოვო. ამ გზით ისინი უვნებლად გადაურჩებიან ხოლმე ზამთრის სუსხს. გაზაფხულზე კი ისევ აქტიურ ცხოვრებას უბრუნდებიან.

რა გაიგე ტექსტიდან ახალი ზოგი ცხოველის თვისებების შესახებ?

კომპონენტი: შედარება-შეპირისპირება, **დონე:** 4.2

ტექსტის გაგება

ყოველ შეკითხვას შეურჩიე თითო სწორი პასუხი.

1 პირველი აბზაციდან ვიგებთ:

ა) რატომ იძინებს ზოგი ცხოველი ზამთარში.

ბ) როგორ ბუნაგში სძინავს დათვს ზამთარში.

გ) დათვის გარდა, რომელი ცხოველები იძინებენ ზამთარში.

2 ზაზუნასაგან განსხვავებით, ზღარბი:

ა) ბურთივით დამრგვალდება და ისე იძინებს სოროში.

ბ) თუ შესცივდება, იღვიძებს და თბილ სოროში გადადის.

გ) რამდენიმე თვეს ატარებს თავის თბილ სადგომში.

3 ზამთრის მშვიდად გასატარებლად ღამურა და მწერი:

ა) თავშესაფარს ფოთლებისა და ბალახებისაგან აგებენ.

ბ) თავშესაფრად ბნელ, მყუდრო ადგილს ირჩევენ.

გ) ტანზე ფრთებს შემოიხვევენ და ისე იძინებენ თავშესაფარში.

4 რა აქვთ საერთო ღამურას, ზღარბსა და ზაზუნას?

ა) სამივე დაძინებამდე კარგად იკვებება.

ბ) სამივე ზამთარში ფუღუროში ბინავდება.

გ) სამივე მიწაში იკეთებს სოროს.

5 რომელი ინფორმაცია *<u>არ შეესაბამება</u>* ტექსტს?

ა) ზოგი მძინარე ცხოველის გულისცემა შენელებულია.

ბ) მძინარე ცხოველებს შიმშილი არასოდეს აწუხებთ.

გ) ყველა ცხოველი ზამთარში ხშირად იცვლის სადგომს.

▶▶▶ ლექსიკა

1 გაარკვიე ხაზგასმული სიტყვების მნიშვნელობები.

1. წელს **<u>მკაცრი</u>** ზამთარია.
   ა) ძალიან თბილი. ბ) ძალიან უცნაური. გ) ძალიან ცივი.

2. ყველა **<u>საგანგებოდ</u>** ემზადება ზამთრისთვის.
   ა) აუჩქარებლად. ბ) განსაკუთრებულად. გ) დროულად.

3. ზაზუნა მიწისქვეშა სოროში **<u>მოკალათდება</u>**.
   ა) მოეწყობა. ბ) დაიმალება. გ) იძინებს.

4. ზოგი ცხოველი დასაძინებლად **<u>მყუდრო</u>** ადგილს ეძებს.
   ა) ბნელ. ბ) თავისუფალ. გ) წყნარ.

2 რომელია საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვები (ანტონიმები)?

ა) ბნელი – ნათელი. ბ) მყუდრო – მშვიდი. გ) ძნელი – რთული.

▶▶▶ გრამატიკა

1 დაურთე ფრჩხილებში ჩასმულ სიტყვებს თანდებულები და ისე დაწერე.

1. ზაზუნა *(შემოდგომა)* ---------- მადიანად იკვებება.
2. *(ზამთარი)* ---------- ბევრი ცხოველი იძინებს.
3. ზღარბს *(ბურთი)* ---------- დახვეულს სძინავს.

2 სწორად შეარჩიე გამოტოვებული სიტყვები.

1. ბევრი ცხოველი ზამთარს ძილში ----------. ***(ატარებს / ატარებენ)***
2. ზამთარში მწერები საერთოდ არ ----------. ***(ჩანს / ჩანან)***
3. ზოგი პეპელა ხის მერქანში ----------. ***(იმალებიან / იმალება)***
4. ზაზუნა შეძვრება სოროში, ---------- დაიძინოს. ***(რათა / რადგან)***
5. ბუნაგი ტალახისა და ---------- არის გაკეთებული. ***(ბალახიდან / ბალახისაგან)***
6. ღამურა ---------- დაცულ ადგილს ირჩევს. ***(ქარიდან / ქარისაგან)***

გრამატიკა

3 **დაწერე მოქმედების აღმნიშვნელი სიტყვები.**

ნიმუში: ძნელი – გაძნელდება.

1. გრძელი – ----------. კალათა – ----------.
2. ზამთარი – ----------. ნელი – ----------.

წერა

1 **ამოიწერე ტექსტიდან ინფორმაცია ზამთრის სადგომების შესახებ.**

ზამთრის სადგომები			
ზღარბი	**ზაზუნა**	**ღამურა**	**მწერები**
ბუნაგს იკეთებს ტალახისაგან, ფოთლებისა და ბალახებისაგან.	----------	----------	----------
	----------	----------	----------
	----------	----------	----------
	----------	----------	----------

2 **წარმოიდგინე, რომ ზღარბი, ზაზუნა ან სხვა ცხოველი ჰყვება, როგორ ემზადება იგი ზამთრისთვის და რას აკეთებს გაღვიძების შემდეგ.**
დაწერე რომელიმე ცხოველის მონათხრობი პირველ პირში. გამოიყენე ტექსტში მოცემული ინფორმაცია. გააფორმე შენი ნამუშევარი ნახატით.

შეიძლება წერა დაიწყო ასე:

მე ზაზუნა ვარ. ძალიან მიყვარს გაზაფხული, მაგრამ შემოდგომა როგორც კი დგება, საზრუნავიც მემატება. პირველ რიგში, უნდა მოვასწრო ზამთრისთვის მომზადება. ამისათვის...